ბანკის ვებგვერდზე https://tbcbank.ge/ka/agreements განთავსებული “პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების” 1.3. პუნქტის შესაბამისად, სს “თიბისი ბანკი” გთავაზობთ “პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში (შემდგომში - “ხელშეკრულება”) შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. ხელშეკრულებას დაემატოს 2.6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „2.6. კომპანიას მკაცრად ეკრძალება პირდაპირ ან ირიბად, ბანკის თანამშრომლებთან/ კონტრაქტორებთან დაკავშირება ბანკისგან დამოუკიდებლად, დასაქმების ან რაიმე ტიპის მომსახურების გაწევის შეთავაზების მიზნით. კომპანია ადასტურებს, რომ არ მოითხოვს, არ წაიყვანს ბანკის თანამშრომლებს, არ დაასაქმებს და არც შესთავაზებს დასაქმებას. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადაში და აგრეთვე, ხელშეკრულების შეწყვეტიდან არანაკლებ 1 წლის განმავლობაში. ხელშეკრულების აღნიშნული პუნქტის დარღვევის შემთხვევაში კომპანია ვალდებული იქნება გაუხადოს ბანკს ჯარიმა 10,000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით, თითოეულ ასეთ შემთხვევაზე, ბანკის მოთხოვნისთანავე;“

2. წინამდებარე დოკუმენტის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული დამატება ძალაში შედის ამ დოკუმენტის ბანკის ვებგვერდზე განთავსებიდან 10 (ათ) კალენდარულ დღეში.